

ახალი

„მედნიერია ის, ვისაც
სამშობლოსათვის უძგერს გული..“

განთიადი



განთიადი

89-ე წელი
თქვენთან
ერთად!

ელფოსტა

AxaliGantiadi@gmail.com

2020 წელი

27 ივლისი

№ 7

№ 8160

89-ე
წელის
სვენი
ვანეთი
ინტერეს,
სურათებს,
ინსაჯს
რწიონის
იხეორობას,
ბანის
ან უბრის
ყვითელი
წიქსას,
ქმის
სვენი
ცხოვრების
შეყოფას-
ზებელი
მაცისხეს

...
ვანეთით
სვენი
მეითხელო!



განი ყველა სოფელს

გვ2.

სოფელ იმეთში ახალი საბავშვო ბაღი შენდება

გვ2.

სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაცია

გვ2.

გმირებს არ ივიწყებენ

გვ2.

ვანო გამნიტაშვილი - 47 წლის განდებოდა

გვ2.



ინფრასტრუქტურის განვითარება სოფლად

გვ3.



სახელი წყლის სისტემის მონტაჟის სამუშაოები

გვ3.

ქალაქრიგვილის ქუჩაზე

გვ3.



ტურისტული რუკა

გვ3.

ყვითელი ქართული ხელოვნების

ონლინ სნაპლების რეალობაში

გვ4.

გვ5.

რწიომ ყვითხელობით წიქსებს?

გვ8.



სამთავისური თამაშები

გვ7.

შტრიხები ფალავნის პორტრეტისათვის

გვ9.



საღაბი ღვინის ქრონიკები

გვ9.



იბოლოცვის რითელი ღმერთ და თქვენთან დახელოვნებს

გვ6.



ვამთინტერეს ვანეთი
„ახალი განთიადი..“

გვირგვინ არ იპიწყებან



2 ივლისი აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი მებრძოლების ხსოვნის დღეა. კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ტატანაშვილი და აფხაზეთის ომის მონაწილე, ეროვნული გმირის კასპის ბატალიონის ყოფილი მებრძოლები ქალაქის ცენტრში მდებარე გმირთა მემორიალთან შეიკრიბნენ.

ყვავილებით შეამკეს მემორიალი და დაღუპული თანამებრძოლები გაიხსენეს.

1993 წლის 2 ივლისს დილით 5 საათზე დაბა ტამიშთან აფხაზურმა მხარემ 600 კაციანი საზღვაო დესანტი გადმოსხა. ბატალიონის დესანტიერებს რუსეთის სამხედრო ხომალდი უზრუნველყოფდა.

გამთენიისას პირველი დარტყმა ტამიშ-

ში, ლაბრასა და ზემოკინთხში განლაგებულმა ნაწილებმა მიიღეს. შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პოზიციაზე მყოფი ქართველი ჯარისკაცებიდან 52 დაიღუპა.

ქართულმა მხარემ ცხრაღლიანი ინტენსიური ბრძოლის შედეგად 300-მდე მებრძოლი დაკარგა. მიუხედავად დიდი დანაკარგისა, ქართველმა ჯარისკაცებმა შეძლეს დესანტის მოგერიება და პოზიციების შენარჩუნება.

2 ივლისი საქართველოს უახლესი ისტორიისთვის ერთდროულად გლოვისა და სიამაყის დღეა.

ეროვნული გმირის კასპის ბატალიონის შემადგენლობიდან ომში 36 მებრძოლი დაიღუპა, ხოლო 4 ივლისს ტამიშთან ბრძოლაში ერთი-სოფელ თეზში მცხოვრები შერმადინ შერმადინია.

ვანო გამხიტავილი - 47 წლის განსჯობდა



ევროპის ოთხგზის ჩემპიონს, მსოფლიო ჩემპიონატების ხუთგზის მეორე პრიზიორს, საქართველოს აბსოლუტურ ფალავანს ქართულ კვიდაობაში და საუკუნის საუკეთესო ქართველ სამბისტად აღიარებულ ვანო (ივანე) გამხიტავილს 47 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ ის 1999 წლის 12 დეკემბერს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

მისი ხსოვნის დღეს საფლავზე იმყოფებოდნენ მეგობრები და კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზაზა მარიდაშვილი. მათ გაიხსენეს ვანოს წარმატებული სპორტული მოღვაწეობა.

ყოველი წლის 13

გაზი ყველა სოფელს



კასპის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამა "გაზი ყველა სოფელს" გრძელდება. სოფელ ზემო ხანდაკში ცენტრალური მაგისტრალის მოწყობის და საუნბო დაქსელვის სამუშაოების შემდეგ მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება მიმდინარეობს.

კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზაზა მარიდაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ლეონიძემ და შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"-ს კასპის სერვის ცენტრის მენეჯერმა მამუკა ახლოურმა სოფელში გაზიფიცირების სამუშაოების მიმდინარეობა დაათვალიერეს და ცისფერი ალის ანთების პროცესსაც დაესწრნენ.

გაზიფიცირება ამჟამად სოფელ თელიანსა და დოესშიც მიმდინარეობს.

სოფელ ხოვლეში კი ცენტრალური მაგ-

ისტრალის პროექტირება დასრულდა და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია მალე მაგისტრალის მშენებლობას დაიწყებს.

სოფლის მოსახლეობა კმაყოფილია გაზიფიცირებით და აცხადებს, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებათ საყოფაცხოვრებო პირობები. ისინი მადლობას უხდებიან საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას, შპს "სოკარ ჯორჯია გაზის" კასპის სერვისცენტრს და კასპის მუნიციპალიტეტის მერიას.

კასპის მუნიციპალიტეტში ამჟამად მოსახლეობის 90%-ია გამრიცხველიანებული.

სახელმწიფო პროგრამა "გაზი ყველა სოფელს" გაგრძელდება ვიდრე მუნიციპალიტეტი სრულად არ იქნება გაზიფიცირებული - აღნიშნა ზაზა მარიდაშვილმა.

სოფელ იგოეთში ახალი საბავშვო ბაღი შენდება

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები გრძელდება. საბავშვო ბაღი რომელიც დააკმაყოფილებს ყველა სტანდარტს გათვალისწინებულია 50 აღსაზრდელზე.

უკვე დასრულებულია შენობის ორივე სართული. ამჟამად მიმდინარეობს გადახურვის და გარე ფასადის სამუშაოები.

საბავშვო ბაღის



მშენებლობა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მასზე 696 326 ლარი იხარჯება. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ხარისხი" ახორციელებს.

გამთინიერეთ ..ახალი გზნთიარაი..!
გზნთით ზეინი მყითხელო!

სახელოვნებო სკოლის რეაბილიტაცია



კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზაზა მარიდაშვილმა და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა არჩილ გეგელაშვილმა ქალაქის სახელოვნებო (სამუსიკო) სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

პროექტი, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 555 291 ლარია, კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. სამუშაოებს შპს "აგროშენსერვისი" აწარმოებს.

სახელოვნებო სკოლა კასპში 1961 წელს გაიხსნა და ასეთი მასშტაბური სამუშაოები დღემდე არ განხორციელებულა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ სკოლის 355 მოსწავლეს და 18 პედაგოგს სასწავლო პირობები გაუმჯობესდება.

სასაქონლო წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები



ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულმა სს "სპეცკიდრომშენმა" წყლის ბურღვითი სამუშაოები ჩაატარა და ამჟამად 150 მ3

ლის ცენტრში მდებარე ერთი საუბნო წყაროთი და 2 საოჯახო ჭით სარგებლობს. პროექტის დასრულების შემდეგ კი ყველა ოჯახი სასაქონლო წყლით იქნება უზრუნველყოფილი. სამუშაოების ღირებულება 308 175 ლარია და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. სასაქონლო წყალი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ვცდილობთ მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა.

კასპში კელაპტრიშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგების დასრულებული სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა ინსპექტირების ჯგუფის წევრებთან ერთად დაათვალიერა. კელაპტრიშვილის ქუჩა 2018 წელს მოასფალტებული გრიშაშვილის ქუჩის გაგრძელება და იგოეთი-კასპი-ახალქალაქის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის უერთდება. ასფალტის დაგებაზე 2018-2019 წლებში ქუჩაზე მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები - სას-

მელი წყლის და საკანალიზაციო სისტემები. ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი 1068 გრძივ მეტრზე დაიგო, მოეწყო რკ/ბეტონის ღარები, ეზოში და გზასთან მისასვლელი, საგზაო ნიშნები. გზა ადაპტირებულია შშპ პირთა გადაადგილებისთვის. ათეული წლობით გაუვალი და დაზარალებული გზის კეთილმოწყობით მოსახლეობა კმაყოფილია, განსაკუთრებით მადლობას გამოთქვამს მაცხოვრის ეკლესიის მრევლი, - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა.

კელაპტრიშვილის ქუჩაზე



680 014 ლარით დაფინანსებულია რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "დინ გრუპი" ახორციელებდა.

ინფრასტრუქტურის განვითარება სოფლად



კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა მაღალმთიანი და გამყოფი ხაზისპირა სოფლების

მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები და გადასასვლელები. აღნიშნული პროექტი გარდამავალი იყო და ორ ეტაპად მიმდინარეობდა. გზის 1 100 გრძივი მეტრი 2019 წელს მოეწყო, ხოლო 1 500 გრძივი მეტრი კი 2020 წელს გაგრძელდა. პროექტის ღირებულება 3 124 444 ლარია, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული

შპს "ენსისი" ახორციელებს. კეთილმოწყობილი გზა კომფორტული იქნება როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით გადაადგილებისას. სამი სოფლის მოსახლეობის გარდა რეაბილიტირებული გზით ისარგებლებენ სხვილოს ციხესთან მიმსვლელი ვიზიტორებიც, რაც უდაოდ მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისათვის.



ტურისტული რუკა

ქართულ თავშეკავებას, სიღინჯეს და ნაკლებპატიურ ხასიათს თუ დავაბრალებთ, რომ მხოლოდ ახლა გამოიცა კასპის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა. ქართული და ინგლისურენოვანი სპეციალური გამოცემა "კასპის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუკა", რომელიც შარშან დაისტამბა კასპის მერიის ორგანიზებითა და ხელშეწყობით, მრავალმხრივ საინტერესო გამოცემაა.



ეს პატარა, მოხერხებული, გემოვნებით შედგენილი ილუსტრირებული /ლამა ზუბიაშვილის ფოტოები/ ბროშურა მარტო ტურისტებსა და უცხოელ სტუმრებს კი არა, ჩვენი რაიონის მოსახლეობასაც გამოადგება. კერძოდ, ასეთი ღონის გზამკვლევი დღემდე ჩვენ ნამდვილად არ გვქონია.

ნიერული კვლევებისას მოპოვებული უაღრესად მდიდარი ისტორიული მასალები, რომლებმაც მსოფლიო მკვლევართა ყურადღება მიიპყრო, დაცულია საქართველოს სახელმწიფო და გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში...

სოფელ ოკაშვი

სოფელ ოკაშვი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც შპს "მოურავი" ახორციელებს. პროექტი ითვალისწინებს შენობის სრულ რეაბილიტაციას: შეიცვლება კარ-ფანჯრები, ელექტრო, წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემის გაყვანილობები, დაიგება კერამიკული ფილები, მოეწყობა ცენტრალური გათბობა, ჩატარდება სამღებრო სამუშაოები და კეთილმოეწყობა ეზო.

შენობა 1947 წელს არის აშენებული და მას დღემდე სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებია. სამუშაოების დასრულების შემდეგ,



შენობა აღსაზრდელთა ორ ჯგუფზე მოთხოვნილ სტანდარტებს დააკმაყოფილებს. პროექტის ღირებულება 132 235 ლარია და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. სკოლა მდელი აღზრდის დაწესებულებებში სათანადო პირობების

შექმნა ჩვენთვის პრიორიტეტია. სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფელ ალაიანის საბავშვო ბაღშიც მიმდინარეობს, ხოლო ახალი შენობები შენდება სოფელ იგოეთში, გრაკალსა და სადგურ მეტეხის დასახლებაში - აღნიშნა საბავშვო ბაღის სამუშაოების დათვალიერებისას ზაზა მარიდაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.


კასპის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, შიდა ქართლში მდინარე მტკვრის ორივე მხარეს ზღვის დონიდან 560 მეტრზე. მოიცავს ლეზურის, თემის, კავთურისა და ნაწილობრივ ქსნის ხეობებს. თბილისიდან დაცილებულია 56, ხოლო გორიდან 40 კილომეტრით. მუნიციპალიტეტს კვეთს ქვეყნის მთავარი საავტომობილო /ავტობანი/ და სარკინიგზო მაგისტრალი. ტერიტორია 803,2 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 43 771 კაცი. კასპის რაიონის ტერიტორიაზე ადამიანები ქვის ხანიდან ცხდასრული გვ-9.

ჯანგ ქართველთა ხსოვნისათვის

ჯამბაკურ-ორბელიანების სასახლე-მუზეუმის ისტორიით დაინტერესებულთათვის კარგადაა ცნობილი ორბელიან-აბაშიძე-ჯავახიშვილთა ახლო ნათესაური კავშირის შესახებ; თავის დროზე, ფაქტიურად, ერთი დიდი ოჯახი იყო.

ლამისყანელი ალექსანდრე (სამიკო) ჯამბაკურ-ორბელიანისა და მისი მეუღლის მარიამის უანგარო ზრუნვა ივანე (კიტა) აბაშიძისა (1870-1917) და ივანე ჯავახიშვი-

და. იქ გააგრძელა საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1936 წელს პარიზში გამოსცა ნაშრომი "საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა". სამშობლოში დაბრუნების იმედი არასოდეს დაუკარგავს. მოგონებებს სამშობლოში დარჩენილ თანამოღვაწეებსა თუ მეგობრებს ფურცლებზე აცოცხლებდა. მემუარებს "კარგ ქართველთა ხსოვნისათვის" უწოდა. მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. წიგნი ოჯახმა პარიზში 1962 წელს გამოსცა.



ქალბატონს მამის ვანო ზურაბიშვილის წიგნი "კარგ ქართველთა ხსოვნისათვის" მიუტანა და სთხოვა, რომ გადაეცა კიტა აბაშიძის ქალიშვილის თამარ აბაშიძისთვის (1903-1979).

"სამი დღე თამარ აბაშიძე სახლში არ ყოფილა, - გვიყვება ქეთევან აბა-

საქართველოს პრეზიდენტი.

ლამისყანის ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის არსებობის 34 წლის მანძილზე ქალბატონი სალომე პირველი პრეზიდენტი, რომელიც მუზეუმს ესტუმრა (გაზეთის ერთგული მკითხველებიდან ბევრი შემეძლება, როგორ, თავის დროზე, ბატონი ელუარდ შევარდნაძე (1928-2014) ხომ გესტუმრათ? აქვე დავაზუსტებ: ელუარდ შევარდნაძე ნამდვილად ბრძანდებოდა ლამისყანაში, ერთ-ერთ "გურამიშვილობაზე". მაშინ სასახლე აღდგენილი არ იყო და ამდენად არც მუზეუმი არსებობდა.

პრეზიდენტის სტუმრობით, 2020 წლის 15 ივნისი ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმის ისტორიაში განსაკუთრებულ დღედ ჩაიწერა. ქალბატონმა პრეზიდენტმა ამ მუზეუმიდან ამცნო საქართველოს მოსახ-

შერიული, დაუშავებელი პრობრამით ხელმძღვანელობა

ოცდაცა წლის წინ, უფრო ზუსტად კი, 1992 წლის შემოდგომაზე დოესში სამუსიკოსკოლა გაიხსნა. ეს მანათლებლო დაწესებულება დოესელებს ძალიან ეამაყებოდათ, სოფლის ყოველი მეორე თუარა, მესამე ოჯახი მაინც დაინტერესებულა, რომ გამონახოს საშუალება, შეიძინოს ინსტრუმენტი /მოდისთვის კი არა/, რათა შვილს მისცეს მუსიკალური განათლება...

სამუსიკოსკოლამ თავისი არსებობის მანძილზე მუსიკის 6 მასწავლებელი აღზარდა, მათ შორის ერთი მათგანი, ნათია მჭედლიშვილი დღესაც დოესელი გოგობიჭების მუსიკალურ აღზრდას ემსახურება... მოკლედ, დღეის მდგომარეობით 67 მოსწავლე ფორტეპიანოზე სწავლობს, ხატვის წრეზე კი, 37 ბავშვი ირიცხება. აქტიური და პროფესიონალი პედაგოგები ჰყავს სკოლას. სწორედ მათი ენერგიულობისა და მონდომების შედეგია ის, რომ სკოლამ უმტკივნეულოდ და უპრობლემოდ გაართვა თავი კორონას დროს დაწესებული რეგულაციების დაძლევა.

პანდემიასთან ბრძოლის დაწყების პირველსავე დღეებში ვაკაცნობიერეთ მოსალოდნელი საფრთხეები და წინასწარ შერჩეული და შემუშავებული, სპეციალისტების მიერ დაწესებული პროგრამით ვხელმძღვანელობდით, - განმარტავს დოესის სამუსიკოსკოლის დირექტორი მარინა გათაშვილი, - პირველ რიგ-

ში საჭირო და აუცილებელი გახდა დისტანციური სწავლების დანერგვა, სხვა გზა აღარ გვქონდა, მესენჯერით ვუკავშირდებოდით მოსწავლეებს, ვაძლევდით დავალებებს, დახმარებას ვთხოვდით მათ მშობლებს, რათა სისტემატურად ეკონტროლებინათ. ჩვენი პედაგოგები დროს არ კარგავდნენ, გულისყურით ამოწმებდნენ თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებულ მუსიკალური ნაწარმობებს.

კორონას დღეებში არც მუსიკალური საგანი გამორჩენილი მხედველობიდან. მეოთხე კლასის მოსწავლეებმა /პედაგოგის ნონა გაბინაშვილი/ ინტერნეტის დახმარებით ბეთჰოვენის

ერთმანეთს არ შეხვედროდნენ და ამრიგად, პირბადით გამოწყობილი მოსწავლეები მთელი მონდომებით უკრავდნენ საგამოცდო მუსიკალურ ნაწარმობებს.

კორონას დღეებში არც მუსიკალური საგანი გამორჩენილი მხედველობიდან. მეოთხე კლასის მოსწავლეებმა /პედაგოგის ნონა გაბინაშვილი/ ინტერნეტის დახმარებით ბეთჰოვენის



მოების შესრულების თანმიმდევრულობასა და ხარისხს, გამუდმებით გვქონდა ვიდეოჩართვები. საინტერესოდ, ერთობ დრამატულად განვითარდა გამოსაშვები /დაამთავრა ოთხმა მოსწავლემ/ კლასის გამოცდები... როგორც თვითმხილველები /მოსწავლეთა მშობლები/ ამბობენ, სხადასხვა დროს დაიბარეს ბავშვები, ისე, რომ

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საუკუნეაღლოდ მოიძიეს კომპოზიტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა და საფუძვლიანად შეისწავლეს. სხვათა შორის მუსლიტერატურის საგანს მოსწავლეები უდიდესი ინტერესით და ყურადღებით სწავლობენ... სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.



ლის (1876-1940) ოჯახებისა და მათი ნათესავებისადმი ნებისმიერ თაობას მაგალითად გამოადგება. ლამისყანის სასახლე ერთხანს ოფიციალურად ორბელიან-აბაშიძე-ჯავახიშვილთა საზაფხულო აგარაკად იყო რეგისტრირებული.



70-იან წლებში საქართველოდან საფრანგეთს კულტურის მუშაკთა ჯგუფი ესტუმრა.

საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა თანამემამულეები მოინახულეს. ვანო ზურაბიშვილის ვაჟმა, კიტა აბაშიძის ნათულმა ლევან ზურაბიშვილმა (1906-1975), რომელიც პარიზის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე იყო, თბილისელ ერთ-ერთ

შიძე, კიტა აბაშიძის შვილთაშვილი. პაპი და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში დაკითხვაზე ჰყავდათ ამ წიგნის გამო. არადა, მეტად საინტერესო, ერთი უწყინარი წიგნია. მის შინაარსზე ხომ სათაუროც მეტყველებს".

ამ "უწყინარი წიგნის" ავტორის ვანო ზურაბიშვილის შვილიშვილი, კიტა აბაშიძის ნათულის ლევან ზურაბიშვილის ქალიშვილი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი დღეს

ლეობას შიდა ტურიზმის ამოქმედება; ისაუბრა ლამისყანისა და ერისთავ-ორბელიანთა ციხე-სასახლის ტურისტულ პოტენციალზე. ამ დღიდან ამ ისტორიული ადგილის ცნობადობაც და დამთავლიერებელთა რიცხვიც ერთიორადაა გაზრდილი.

ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის ეროვნული ნაბიჯი წინაპართა მემკვიდრეობის გაცნობა-შესწავლისათვის, მისი მოწოდება ქვეყნის ამ გზით სიარულის აუცილებლობისაკენ: "აღმოაჩინე საქართველო, იმოგზაურე საქართველოში", გვაიმედებს, რომ "მომავალი ზურგს არ გვაქცევს".

მოამზადა: სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი.

ივანე ჯავახიშვილისა და კიტა აბაშიძის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ბევრ დეპლემოსილ, საინტერესო პიროვნებას უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი გახლავთ ივანე (ვანო) ზურაბიშვილი (1872-1940) - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, "პუბლიცისტი", "ივერიის", "მოამბის", "ცნობის ფურცელის", "ერის" თანამშრომელი; მთარგმნელი (თარგმნა მოპასანი, დოდე, ფრანსი). მას დიდი მეგობრობა და ნათესაობა აკავშირებდა ივანე ჯავახიშვილსა და კიტა აბაშიძესთან.

უამთა ვითარებამ 1921 წელს ვანო ზურაბიშვილს სამშობლო დაატოვებინა. ოჯახით საფრანგეთში დასახლ-



კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.



თა შესახებ მშობლებს არ სწავლიათ(!) რომ ვიამბონ. თქვენ ახლა უფრო გვერი იერთ ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, გვერ საინტერესო და სასიამოვნო სიხლეს შეიცვალა მსოფლიოში გაფანტულ საზღვრებში მუზეუმებსა თუ ატრაქციონებს, მეზღაპრებს... მაშ ასე, გამოგვიგზავნეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში დაელოდეთ პასუხს. შეხვედრამდენად! ვიამბობო! ვიამბობო! ვიამბობო! ..კეხურა..


ონლაინ სწავლების რეალობაში

მიმდინარე წლის თებერვლიდან მოყოლებული კასპის მუსიკალურ სკოლას მესამე საჯარო სკოლა "მასინდლობს", ვინაიდან ამჟამად მუსიკალურ სკოლაში ფართომასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს... მდიდარი ტრადიციების

მუსიკალური სკოლის დირექტორი შორენა შემბერიძე, - რა თქმა უნდა, თავიდან იყო შეგუების პროცესი, როგორც ბავშვების, ასევე პედაგოგების მხრიდან, მაგრამ მალევე ყველაფერი დალაგდა და საგაკვეთილო პროცესი წავიდა ჩვეულ რეჟიმში.

ვიღმა, ლეილა თათანაშვილი, ლალი ღვინიაშვილი, თამარ ბიჭაშვილი, რუსუდან გელაშვილი, ნინო ყოჩიშვილი... არნახული შემართება და ორგანიზებულიობა, სამაგალითო გულშემატკივრობა გამოავლინა სკოლის წარმომადგენელმა რევაზ კერესელიძემ, რომელიც თითოეულ დეტალზე ზრუნავდა, უსწრაფესად აგვარებდა სხვადასხვა ორგანიზაციულ საკითხს, დახსწორებდა პანდემიის დღეებში იგი ერთ-ერთი პირველი გაერთიანდა მუნიციპალიტეტში შექმნილ მონალისეთა სიაში, რომლის წარმომადგენლებს მოხუცებისათვის ბინაზე მიჰქონდათ საკვები.

ეს უჩვეულო და არაორდინალური ონლაინ სწავლება გრძელდება, ახლა მუსიკალურ სკოლაში წესით და რიგით ტრადიციული გამოსაშვები კონცერტები უნდა ტარდებოდეს მაგრამ, ბედის ირონიით მოსწავლეები პედაგოგებს, ისევე სკაიპით უკავშირდებიან



მქონე კასპის მუსიკალურ სკოლაში ამჟამად ირიცხება 339 მოსწავლე, აქედან 135 ფორტეპიანოზე სწავლობს, 18 მოსწავლე საესტრადო სიმღერების შესწავლას ეუფლება, ხოლო 113 ბავშვი ხატვის წრეშია გაერთიანებული, 73 მოსწავლე კი, ხელოვნების საფუძვლების შესწავლით არის დაკავებული.

მოკლედ, ყველა საკვეთილი გათვალისწინებული განრიგის მიხედვით ტარდებოდა ბავშვებთან. მხოლოდ იმას ნანობენ სასწავლებლის მესვეურები, რომ ხატვის წრის მოსწავლეებთან ვერ მოხერხდა ონლაინ სწავლება, ისიც იმიტომ, რომ მოსწავლეების საკვეთილების ცხრილი არ დაემთხვა ონლაინ რეჟიმს.



და საზაფხულო დავალებებს ინაწილებენ... იმედია, მომავალ სასწავლო წელს სწავლების ეს მექანიზმი აღარავის დასჭირდება, ტრადიციისამებრ მუსიკალურში არსებულ ყველა სახელოვნებო მიმართულებაზე ბავშვთა ნაკადიც მაღალი იქნება.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

მაისში დაგეგმილი ღია გაკვეთილის, გადილო

ია /ილია/ კარგარეთელის სახელობის ახალქალაქის სამუსიკო სკოლაში ამ კუთხის 6-7 სოფლის მოსწავლეები და ახალგაზრდები იღებენ სახელოვნებო განათლებას. დაახლოებით 113 აღსაზრდელი, აქედან 47 ბავშვი ფორტეპიანოზე დადის, ხატვის წრეში გაერთიანებულია 47 მოსწავლე

სწავლების რეჟიმზე ვიმყოფებით, - საუბრობს ახალქალაქის სამუსიკო სკოლის დირექტორი ლია ნაზარაშვილი, - მოგესვენებათ, პანდემიის მძვინვარებისას ბუნებრივია, მეცადინეობა შეფერხდა, უფრო მეტიც, დაგეგმილი, უამრავი კულტურული ღონისძიება თუ საზეიმო შეხვედრა გადილო. ახლა მხოლოდ ონლაინ რეჟიმში გვიწევს მოსწავლეებთან ურთიერთობა, ძირითადად კი, ტელეფონით ვუკავშირდებით ბავშვებს

და კონსულტაციას... მუსიკალური საგანში მოსწავლეებმა ონლაინ რეჟიმის დახმარებით შეძლეს კლასიკოს კომპოზიტორთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა, რა თქმა უნდა, კლასების პროგრამის მიხედვით. ყველა მოსწავლემ იაქტიურა და მასწავლებლების შექებაც დაიმსახურეს, თუმცა სწავლების ამ "ახლებურ" მეთოდს ნამდვილად არ ჰქონდა საზეიმო ელფერი, რადგან ჩვეულებრივ



ლე, ხოლო 19 მოყვარული მოსწავლე მხატვრული კითხვისა და თეატრალურ წრეში ირიცხება.

სკოლაში გამოცდილი, პროფესიონალი პედაგოგ-მასწავლებლები ჰყავს, რომელთა შორის არიან სესილი სამხარაძე, მათა ფიდაშვილი, თამარ ბახტაძე, ნატალია წიკლაური, ლეილა ალიმბარაშვილი და სხვები, რომელთა მონდომებითა და მზრუნველობით აქაური მოსწავლეები სათანადო იღებენ. სკოლას წელს მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული ჰყავს, გასულ წელს კი, ექვსმა მოსწავლემ დაამთავრა.

გაკვეთილზე, რომელსაც სტუმრად ეყოლებოდა მყურებელი და შემფასებელიც სულ სხვა ჟღერა... ამიტომ ღია გაკვეთილი, რომელიც გენიალური ბეთპოვენის საიუბილეოდ დაგეგმეს მაისში, რა თქმა უნდა, გასაგები მიზეზების გამო გადაიდო, ბავშვებსა და მათ მშობლებს, მთელ პედაგოგურ კოლექტივს სურდა ეს ღირსშესანიშნავი თარიღი სადღესასწაულოდ აღენიშნათ. მოუთმენლად ელოდებიან საოცნებო დროს.



16 მარტიდან მოყოლებული, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ჩვენთანაც განსხვავებული, სრულიად ახლებური

ფოტო-მაგიანა...ახალი განთიარცა, იძებს საინცერნეტო სურათებს მიათონის სავსებით თოცო-მაცისანის შიქსქმნილოცო. თხოვნით მივმართავთ თანამართონილოებს - რაცოოოოო თქვინი ყვაროი ჩვიწს მაცისანიში! გამოგვიგზავნეთ განვლოიოი ცხოვრიების ამსახვილოი, ისეოოოიის შიქმსახვი, წინაწრიების ცხოვრიების ამსახვილოი საინცერნეტო რას სახაროისო თოცოოიები! ირთარც ვავიბსენოთ როოოოო ცხოვრიობსინინ, როოოოო რეცხოვრიობსინოთ ...

გამოიწერეთ "ახალი განთიარცა"! განვლოი ჩვიწს მყითხვილოი!

იზოლაციის რთული დრო და თქვენთან დახმობა

ფერწერა გახლავთ სახვითი ხელოვნების სახეობა, სადაც მხატვრის შემოქმედებით დამოკიდებულება საზოგადოებრივი და ბუნებრივი მოვლენებისადმი საღებავების მეშვეობით რაიმე ზედაპირზე გადმოცემა სახიერად...

ხელოვნების სხვა დარგების დარად, ფერწერა იდეოლოგიურ და შემეცნებით სფეროს ემსახურება, ქმნის საგნობრივ

პირველად, რომელი ნახატი წარუდგინა “დამთავლებულს”, მაგრამ ერთადერთი ოცნება /დიდი ხნიდან მოყოლებული/, რომელიც არ შეუცვლია თუა ქუტაშვილს, მხატვარ-დიზაინერობა გახლავთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ფერწერით გატაცებული, ჯერ კიდევ დამწყებმა “მხატვარმა” ხელოვნების სხვა დარგშიც მოსინჯა თავისი შესაძლებლობები, ეს იყო მა-

ბატონებს: მხატვარ თინა კლდიაშვილსა და ხელოვნებათმცოდნე მაია იზორიას. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა აქტიურობით, ხშირად მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებშიც, მაგრამ მას განსაკუთრებით დაამახსოვრდა 2010 წელი, როდესაც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო გალერეაში მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა.

შემდეგ იყო რეგიონისა თუ რესპუბლიკის მასშტაბით ჩატარებული ღონისძიებები, ფესტივალები, სადღესასწაულო შეხვედრები, გამოფენა-გაყიდვები.

კასპელი შემოქმედი პედაგოგის თუა ქუტაშვილის ინიციატივით გაფორმებული, სანახაობრივი რეწვის კუთხეები მუდამ პოზიტიურ განწყობას უქმნიდა მნახველს.

2012 წლის შემოდგომაზე თუა ქუტაშვილი შიდა ქართლის სახელით თბილისის საგამოფენო დარბაზში /საერთაშორისო საგამოფენო სივრცე/ ექსპოზორჯიაში წარადგინეს, როგორც პერსპექტიული ფერმწერი. მომდევნო წელს იგი მონაწილეობდა აგრეთვე, თბილისში საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის მიერ გამართულ გამოფენაზე და სერტიფიკატიც მიიღო.

უკვე შვიდი წელია მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება. კასპის მესამე საბავშვო ბაგაბაღის გამგეს თუა ქუტაშვილს დღენიდავ ერთი მთავარი საზრუნავი აქვს, ცდილობს ზრუნვა არ დააკლოს პატარებს, ფან-



ესთეტიკურ ღირებულებას. იგი ადამიანის შრომის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ფორმაა.

ფერწერა ასახავს ამა თუ იმ იდეოლოგიურ კონცეფციას და შემოქმედებს ახლებს ადამიანის გრძნობებსა და აზრებზე, აიძულებს მას განიცადოს მხატვრის მიერ ასახული სინამდვილე... სხვათა შორის, მრავალი ფერწერული ნაწარმოები შეიცავს დოკუმენტურ-საინფორმაციო ღირებულებების საშუალებებსაც.


ფერწერა იყოფა შემდეგ ქვესახეებად: მონუმენტური ფერწერა, კედლის ფერწერა ანუ ფრესკა, დეკორატიული ფერწერა /დიზაინი/, დაზგური ფერწერა და მინიატურული ფერწერა. მოკლედ, გამოსახაზი საგნებისა და მოვლენების მიხედვით ფერწერა იყოფა ჟანრებად, რომელთაგან მთავარია: ისტორიული ფერწერა, ყოფითი ფერწერა, ბატალური ფერწერა, ანიმალისტური ფერწერა, ნატურმორტი, პეიზაჟი და პორტრეტი...

დღეს წარმოდგენილი მხატვარი ბავშვობიდან ერთგულს ფუნჯსა და საღებავს, თუმცა, ზუსტად აღარ ახსოვს

გალითად, თუა, მოდელირება, ქანდაკება.

თუა ქუტაშვილი დაიბადა კასპში 1981 წლის 18 მარტს, კასპის პირველი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიურ უნივერსიტეტში და აირჩია მხატვარ-დიზაინერის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიამ.

პედაგოგებიდან თუა ქუტაშვილი დღემდე კეთილად იხსენებს ქალ-



ტაზია და ნიჭი, შესაძლებლობები, უმაღლეს სასწავლებელში მიღებული მომავალი თაობის აღზრდას მოახმაროს, ბავშვებს ცხოვრება გაუღამაზოს.

მან თავის გარშემო შემოიკრიბა ენთუზიასტი კოლეგები და ლამაზად, გემოვნებით, პატარების გულის გასახარად მოხატა ბაღის კედლები /ჰოლი, დერეფნები, სასტუმრო ოთახები/. უფრო შემოქმედებითი გახდა ბავშვთა აქტივობები.

შარშან თუა ქუტაშვილმა კასპის პირველ საჯარო სკოლაში

ხელოვნების საათები შეთავსა და დღემდე გატაცებით მუშაობს მოსწავლეებთან.

ხატვა, ფერებთან “ჭიდილი” და დატვირთული განრიგის მიუხედავად ყველაფერს ასწრებს, აქვს სანაქებო ოჯახი, მეუღლე, შვილები... გაზაფხულზე /მარტიდან მოყოლებული/, როდესაც პანდემია გავრცელდა და ირგვლივ ყველაფერი შეჩერდა და შეიზღუდა, იზოლაციაში ყოფნა მისთვის უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა და ამასაც წარმატებით გაუძლვა... მოძებნა შორიანხლოს გადაღებული საღებავები,

ფუნჯი, და საყვარელ ფერებში იმოგზაურა.

ერთი სიტყვით, იზოლაციის რთული პერიოდი შემოქმედებით შრომაში გაატარა, წლების განმავლობაში დაგროვილი განცდები, შთაბეჭდილებები და ემოციები ტილოზე გადაიტანა და არც თუ ურიგოდ, როგორც ამბობენ, ამ რამდენიმე თვის განმავლობაში შექმნილი ნამუშევრებით თუა ქუტაშვილი სამომავლოდ პერსონალური გამოფენის მოწყობას გეგმავს, თუმცა, ამაზე თავად მხატვარი დაწვრილებით არ საუბრობს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

პირველ-სკოლელ შავლეგ მაჭარაშვილს ჩვენებურები ძალიან კარგად იცნობენ როგორც, სამაგალითო ადამიანსა და სახელოვან სპორტსმენს, მომავალ თაობაზე მზრუნველ და თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტს...

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც კასპის საფეხბურთო სკოლა გაიხსნა და აქაური ბავშვების საოცნებო დაწესებულება გახდა, მესუთე თუ მეექვსე კლასელი შავლეგ მაჭარაშვილი ერთ დღესაც გაუბედავად, მაგრამ თავის თავში დაჯერებული სკოლაში გამართულ მისაღებ კონკურსზე გამოცხადდა და წარმოდგინეთ, სკოლის იმჟამინდელ თავკაცებს პირველსავე შეხვედრაზე ეს გულანთებული,

დაინტერესებული ყმაწვილი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, უფრო მეტიც, ფეხბურთის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი ავთანდილ ჯალაღი ახალბედა ბიჭზე დიდ იმედებს ამყარებდა და არც შემცდარა.

მოკლედ, რასაკვირველია, როგორც ყველა დამწყები ფეხბურთელი, შავლეგ მაჭარაშვილიც თავიდან ბავშვთა გუნდში თამაშობდა, შემდეგი ეტაპი იყო დიდ გუნდში გადასვლა და ეს მოხდა სკოლის დამთავრების შემდეგ.

1989 წლიდან შავლეგ მაჭარაშვილი იმ ხანად გახმაურებული და პრესტიჟული საფეხბურთო გუნდის კასპის "განთიადის" ფეხბურთელი გახდა...

იყო თავდაუზოგავი შრომა, ხანგრძლივი და დამძლეული

ვარჯიშები, წარმატებული, დაუვიწყარი წლებიც, ვინ მოთვლის, რამდენი მაყურებელი მოუხიბლავს, რამდენი მოყვარული სპორტსმენის გული გაუხარებია კასპელ ფეხბურთელს შინ თუ გარეთ, ამაზე მოწმობენ ის უამრავი სიგელები და ჯილდოები, სამკერდე ნიშნები, რომელიც ახლა უკვე ვეტერანი ფეხბურთელის პირად არქივში ინახება.

შავლეგ მაჭარაშვილი ლიცენზირებული მწვრთნელია, სამ ათეულ წელზე მეტია მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება და ბუნებრივია, უამრავ ახალგაზრდას დაეხმარა, გზა გაუკაფა დიდი სპორტისკენ.


მისი გამოზრდილია სახელოვანი კასპელი სპორტსმენი გიორგი გაბიდაური, რომელსაც 4-5 წლის განმავლო-

ბაში "მწვემსავდა" და დაუფასდა კიდევ მწვრთნელს გაწეული შრომა.

გიორგი გაბიდაური ჯერ საქართველოს საფეხბურთო კლუბში მოხვდა, მოგვხსენებთ, ეს ის კლუბია "თბილისის კოლოკო", რომელიც ეძებდა და თავის რიგებში იღებდა სათანადო მონაცემებით დაჯილდოებულ ფეხბურთელებს. ასე და ამგვარად, სწორედ ამ კლუბის სელექციონერების ინიციატივითა და ნებართვით გიორგი გაბიდაური ერთ დღესაც საოცნებო თბილისის "დინამოს" ძირითად შემადგენლობაში იხილა ქართველმა მაყურებელმა.

მერე იყო კვიპროსის ჩემპიონობაც, ოდნავ მოგვიანებით კი, კასპელი ფეხბურთელი საქართველოს

ლიხანზირებული მწვრთნელი



ეროვნულ ნაკრებშიც გამოჩნდა.

დაბოლოს, საფეხბურთო კარიერა მან "გამზრდელის" შავლეგ მაჭარაშვილის დარად მწვრთნელის პოზიციაში გააგრძელა

ტიც, უმნიშვნელოვანეს ორგანიზებულ საკითხებს ბავშვებისგან შეუმჩნევლად ახერხებს და ამით პატარების გულებს ინადირებს.

ერთი სიტყვით, მწვრთნელი და შეგირდები /2007-2008 წელს დაბადებული ბავშვები/, სულ 22 ფეხბურთელი ერთად იზიარებენ მიღწეული წარმატებების სიხარულს.

ბევრს ახსოვს ალბათ, ამ ბავშვებმა შარშანაც ასახელებს მშობლიური რაიონი და აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ პრესტიჟულ ტურნირზე ერთპიროვნული გამარჯვება მოიპოვეს.

ჩემპიონი ფეხბურთელები ამ ეტაპზე გასაგები მიზეზების გამო ინტენსიურად ვერ ახერხებენ საწვრთნელ ვარჯიშებს. ისე კი, რომ იცოდეთ, დღე არ გავა, მწვრთნელს არ დაურეკონ ფეხბურთელებმა: ანდრია ყაზარაშვილმა, გიორგი მაისურაძემ, ლევან ტატანაშვილმა და კიდევ ბევრმა ბავშვმა, რომელიც მოუთმენლად ელის სასურველ დროს, როდესაც ისევ ერთად გამწვრთვებიან საწვრთნელ ბილიკებზე.



ნამდვილი საფეხბურთო სტადიონი, მართალია, არაა სოფელ სამთავისში, მაგრამ პოპულარული და ანდამატურია.

აბა, რა სჯობია ივლისის მცხუნვარე დღის ბოლოს, სადამოხანის სივრცეში, თავშეყრასა და თამაშ-გართობას, სახალისო ამბების გახსენებას მშობლიური სოფლის მოედანზე...

სამთავისში ფეხბურთის სათამაშო მოედან(ებ)ი იქაური სპორტის მოყვარულებმა და ენთუზიასტმა ადამიანებმა მოაწყვეს.

დავით კობაურმა, ადრე რომ ფეხბურთელობდა და ახლა მწვრთნელობს,

ზედ სოფლის სკოლის გვერდითა და ტაძრის მახლობლად, ისედაც მშვენიერი მინდორი გადააქცია თავისი გუნდების სავარჯიშო და სათამაშო.

რამდენი ახალგაზრდა დაკვალიანდა ამ მოედნებზე სამთავისიდან და მიმდებარე სოფლებიდან, ახლა ძნელი დასათვლელია, აქ აიღგეს ფეხი და მერე მართლაც ითამაშეს კარგი ფეხბურთი პროფესიულ კლუბებსა და გუნდებში, გახდნენ საქართველოს ჩემპიონები, უცხოეთის მოედნებზე ახლაც თამაშობენ.

ერთ პერიოდში, როცა რაიონის ცენტრში საფეხბურ-



თო მოედანი უქმობდა და ახალი სტადიონის მშენებლობა მიმდინარეობდა, სამთავის-

ში სწორედაც "კობაურის ბიჭების მოედანს" დაეკისრა დამატებითი ფუნქცია:

კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ასაკობრივი გუნდები იქ მართავდნენ

სამთავისური

თამაშები

თამაშებს დელაქალაქელ და სხვა თანატოლებთან და, მეტიც, სამთავისშივე იღებდნენ მილოცვებსა და ჯილდოებს ზონალურ თუ რესპუბლიკურ გათამაშებებში გამარჯვებისა და პრიზიორობისათვის. სამთავისში დღემდე, აქაური თუ დამსვენებელი გოგობიჭების გულგასახარად, ეს ადვილი გადაქცეულია გართობა-დასვენების, ფიზიკური გაკაჟების მეტ-ნაკლებად შესაფერის სასპორტო სამყოფელად. ესეც თქვენ

მოწონებული საზაფხულო არდადეგები და სოფლური თამაშები.. სწორედ დედულ-მამული ს ძვირფასი სანახებიდან, სადაც სოფლური თამაშების მონაწილეებს შეუძლიათ მხერა მიაწვდინონ დიდებული ისტორიული ტაძრების ცადმემართულ გუმბათებს, იწყება გზა-სავალი არა მხოლოდ პროფესიული სპორტისაკენ, არამედ გულისკარიც იხსნება მამული სასიყვარულოდ, მოსაფრთხილებლად, საერთოგულოდ!

რაცომ უკითხოვთ ნ'იგნებს?

სოციალური მედია, კინო, იუთუბის უკიდურესად სანახაობა დიდ "კონკურენციაშია" წიგნის კითხვის სურვილსა და რეალობასთან. ქალაქის გაჩენამდე ადამიანები წერდნენ ყველაფერზე, რაც ხელთ მოხვდებოდათ - თიხის ფირფიტებზე, კედლებზე, ფოლადის ნაჭრებზე და ხის მერქანზე.

ცოდნის გადაცემის უპირველესი მეთოდი კაცობრიობის ისტორიაში ზეპირი გადაცემა იყო. ძველი ცივილიზებული სამყარო ცდილობდა ინფორმაციის გადაცემას უფრო სისტემური მეთოდებით - წერილობითი სახით, რამაც პიქტოგრამების, იეროგლიფების და ანბანების გაჩენა გამოიწვია.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ კითხულობდე წიგნს, არც ისე მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რადგან შესაძლებელია მისი ფილმით ჩანაცვლება.

რატომ უნდა წავკითხოთ წიგნიერता მოწონებულები "დათა თუ-თაშხია", "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", ან სხვა ისეთი წიგნები, რომლებსაც შესაძლებელია ფილმების მეშვეობითაც გავეცნოთ, მათზე ხომ არაჩვეულებრივი ფილმებია გადაღებული, თან ბევრად ნაკლებ დროს საჭიროებს.

და მაინც, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ერთმანეთისგან წიგნი და ფილმი, რადგან წიგნის მეშვეობით შესაძლებლობა გვეძლევა გავიფართოვოთ თუნდაც წარმოსახვა.

როცა კითხულობ ავტორებს, რომლებიც კარგად წერენ, ეჩვევი კარგ მკვლევებას. თანაც, კულტურა - ესაა არა წაკ-

ითხული, არამედ გავებუ-ლი წიგნების ერთობლიობა.

ადამიანები, რომლებიც წიგნებს კითხულობენ, ყოველთვის მართავენ მათ, ვინც ტელევიზორს უყურებს. რაც უფრო ბევრს კითხულობ, მით ნაკლებად ბაძავ სხვას. წიგნი ყოველთვის სჯობია ფილმს, რადგან წარმოსახვა არაა შემოსაზღვრული სპეცეფექტების ჩარჩოებით.

ადამიანები იყოფიან ორ კატეგორიად: ვინც კითხულობს და ვინც უსმენს, მათ ვინც კითხულობს.

ამბობენ: როგორც მარცვლებისგან შედგება მზესუმზირა, ისე წაკითხულის მარცვლებიდან იქმნება ცოდნა. მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ კითხვა გონებისთვის იგივეა, რაც სხეულისთვის ფიზიკური ვარჯიში. იმისათვის, რომ გახდე ჭკვიანი, საკმარისია ათი წიგნის წაკითხვა, მაგრამ რომ იპოვო ეს ათი, უნდა წაკითხოთ ათასი.

ფაქტია უნდა მივინდოთ წიგნებს, ისინი ყველაზე ახლოს არიან, დუმან როცა საჭიროა და ლაპარაკობენ, როცა თვალწინ სამყაროს გვიშლიან.

ეს მცირე ექსკურსი წიგნთან ურთიერთობის ისტორიიდან იმიტომ შემოგთავაზეთ, რომ "კოვიდ-19" პანდემიის გამო, მუშაობა, მკითხველთან ურთიერთობა შეუძლებელი გახდა, მით უფრო მასობრივი ღონისძიების ჩატარება.

არსებული სინამდვილის ფონზე ბუნებრივად იხსენებ ჩატარებულ სამუშაოს, და როგორია შედეგი?

კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის

სამკითხველო დარბაზში მიმდინარე წლის 14 იანვარს მოეწყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეს. მთავარი ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ეკატერინე დალაქიშვილმა ისაუბრა სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ.

ამავე დღეს მოეწყო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში დაცულ გამოცემათა გამოფენა, მასალებში ასახულია ქართული თეატრის ისტორია და



წელი წიგნისა და წიგნიერების სადარავჯოზე გადასცა საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტებს: მერი გზირიშვილს და ზამინტ ბარნოვს.

მაია შაველაშვილმა ბიბლიოთეკის მეგობრის ტიტულის სიგელი გადასცა ამირან ტალახაძეს.

თათია ლომინაძემ ანალოგიური სიგელები გადასცა გიორგი თაბუაშვილს და ლევან თაბუაშვილს. მაია აბუაშვილმა კი

წიგლური, ქეთი ჯინიყაშვილი, მარიამ კობახიძე.

მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სახელობით დღესასწაულ "წიგნობასთან" დაკავშირებით მოეწყო ბიბლიოთეკის ფონდში დაცულ წიგნთა გამოფენა, სადაც წმინდანის ცხოვრება და მოღვაწეობა აღწერილი.

მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ მოაწყო ახალი წიგნების პრეზენტაცია.

საჯარო კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების სპეციალისტები: თეა ბადაშვილი და ეთერ ნიპარიშვილი ეწვივნენ №2 საბავშვო ბაღს; ნათია ჯანანაშვილი და მარინა შალუტაშვილი ესტუმრნენ კასპის №3 საბავშვო ბაღს (დირექტორი თეა ქუტაშვილი); საქალაქო ბიბლიოთეკის სპეციალისტები: მერი ბარჯაძე, მაია ხარატიშვილი, ანა ნაროზაშვილი, ნატალია ჯარმელაშვილი ესტუმრნენ კასპის №5 საბავშვო ბაღს (დირექტორი ლალი მილაძე). მათ ადგილზე დიდი სიხარულით დახვდნენ პატარები. წაკითხეს ქართული ხალხური ზღაპრები, საბავშვო ლექსები, რებუსები და გამოცანები.

მთავარმა ბიბლიოთეკამ წიგნის საჯარო კითხვის მსოფლიო დღის ეგიდით მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ჩატარა საჯარო კითხვა, რომელიც მიეძღვნა დიდ ქართველ მწერალს გიორგი შატბერაშვილს.

8 თებერვალს ქართველთა დიდი მეფის, წმინდანის დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) ხსენების დღეა. ამავე დღეს კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) გაიხსნა. ამ ორ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა გამოფენები კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბიბლიოთეკის ფონდში დაცული წიგნები, რომლებიც უკავშირდება აღნიშნულ თარიღებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ წიგნების

ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა გააკეთა მთავარი ბიბლიოთეკის სპეციალისტმა მაია შაველაშვილმა. დავით აღმაშენებლის შესახებ წიგნების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა წარმოვიდგინა მთავარი ბიბლიოთეკის სპეციალისტმა ციტინო ბერიანიძემ.

მაშინ კორონას არსებობას ვერ წარმოვიდგენდით, მიმდინარე წლის 10 თებერვალს კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანების საბავშვო განყოფილება პატარების ყრბაშვილთა აივანო. გაერთიანდა ჩვენი ტრადიცია: ბიბლიოთეკის საუკეთესო მეგობრები. ამ ეგიდით კასპის №2 საბავშვო ბაღის (გამგე თამარ ხოკრიშვილი) 5-6 წლიანი ჯგუფის აღსაზრდელები (აღმზრდელი ირმა მილაძე, აღმზრდელის თანამშემქმე თამარ გაბოძე, დიდა ირინა მარქარაშვილი, ბაღის ფსიქოლოგი მარინა დალაქიშვილი) ეწვივნენ წიგნსაცავს.

და გ ე გ მ ი ლ ი გვექონდა მწერლის, სცენარისტის, საზოგადო მოღვაწის, ჩვენი თანარაიონელ ნუგზარ შატაიძის შემოქმედებითი პორტრეტის მომზადება და ჩატარება; ლიტერატურული სპექტაკლის "მზე ამოდიოდა..." მომზადება და ჩატარება; ამ პერიოდში ჩვენთვის უკვე ტრადიციად ქცეული საჯარო სკოლების კლუბებს შორის ინტელექტუალური ასპარეზობის ჩატარება თემაზე "ლიტერატურული გმირი"; შეხვედრა მწერალ აკა მორჩილაძესთან, "დღეები და ღამეები", რომელიც ფაქტიურად მომზადებული გვექონდა, მაგრამ განხორციელება ვეღარ მოვახერხეთ; წიგნის განხილვა - ჭაბუა ამირეჯიბი, "გორა მზორგალი - დრო და პიროვნება"; ვიქტორინა უფროსკლასელთათვის - "ვიცნობთ თუ არა სამშობლოს"; შემოქმედებითი პორტრეტი - "შეგლადქცეული - მერაბ ბერძენიშვილი"; დაგეგმილი გვექონდა გასვლითი ღონისძიება - "წიგნით მოგზაურობა" და სხვა.

სასექტემბროდ ვგვმავთ ღონისძიებას ღია ცის ქვეშ - "პეტრე ბაგრატიონ-გურუშინსკი - ამღერებული ლექსი", რომელსაც ჩავატარებთ ადგილობრივი ძალებით, ჩატარების ადგილად სავარაუდოდ ერთაწმინდის ტაძრის ეზოს ვფიქრობთ.




გურისტული რუკა

დასასრული.

ოვრობდნენ. მათიანე კასპს იხსენებს იბერიის ძველი ქალაქების: უფლისციხის, სარკინეს, ურბნისის, ოძრახესა და სხვათა გვერდით. კასპს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ჰყავდა საკუთარი სპასალარი და წარმოადგენდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს – “კასპის სპასალარი“-ის ცენტრს.

... ექსპონატებიდან აღსანიშნავია მოოქროვილი ვერცხლის დისკო და ხატის უღელი / ძვ.წ. III ს/, ელინისტური და რომაული ხანის ბრინჯაოსაგან დამზადებული დიონისეს ქანდაკება / ძვ.წ. III-III ს/, ბრინჯაოს ბალთა, ვერცხლის თასი და სხვა.

“გრაკლიანის გორას“-გათხრებისას აღმოჩენილმა, II განსხვავებული პერიოდის კულტურის ნაშთებმა მსოფლიო მკვლევართა ყურადღება მიიპყრო. 2018 წელს აღმოჩენილი წარწერა ადასტურებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა მაღალ-



განვითარებული საზოგადოება და 3000 წლის წინ ჰქონდა დამწერლობა.

კასპს ყველაფერთან ერთად ტურიზმის უდიდესი პოტენციალი გააჩნია: შესანიშნავი ბუნება და მდინარეები, ხეობები, ჩანჩქერები, ისტორიული და კულტურული ძეგლები, მუზეუმები, ღვინის მარნები, სადეგუსტაციო, საკურორტო, სათევზაო და საბაიკნიკე ადგილები.

ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით აქტიურად ვითარდება ინფრასტრუქტურა.

მოგესხენებათ ჩვენს რაიონს, მართლაც რომ ჩინებული ბუნება და ტურისტული პოტენციალი გააჩნია, ამიტომაც არის, რომ ტურისტების მოზიდვის მიზნით დღითიდღე აქტიურად ვითარდება, უმჯობესდება ინფრასტრუქტურა...

ივლისი ვანო გამხიტავის სახელობითი თევა – წელს მას დაბადებიდან 47-ე წელი შეუსრულდებოდა. კორონავირუსით გამოწვეული საყოველთაო სპორტლონისძიებათა უქმობა რომ არა, სოფელ სამთავისში გაიმართებოდა ტრადიციული ტურნირი ქართულ ჭიდაობაში და გათამაშდებოდა მისი სახელობის პრიზი... ჯერ არაინ იცის, სასექტემბრო ანალოგიური ტურნირი იქნება თუ არა სამბოში... აი, ამიტომაც, კიდევ ერთხელ ვიამბობთ მარად ჭაბუკად დარჩენილ მოჭიდავეზე.

ივანე (ვანო) გამხიტავი (1973–1999)

დაბადება: თარიღი – 1973 წლის 13 ივლისი, ადგილი – სოფელი სამთავისი (კასპის რაიონი).

გარდაცვალება: თარიღი – 1999 წლის 12 დეკემბერი, დაღუპვის მიზეზი და ადგილი – ავტოავარია, სოფელი ალაინი, დაკრძალვის ადგილი – სოფელი სამთავისი (ტაძრის ეზო).

მშობლები: მამა – რევაზ გამხიტავი, დედა – დალი მანძულაშვილი.

განათლება: საშუალო, სოფელ სამთავისის სკოლა (1980-90 წლები), უმაღლესი – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სეკონომიკის ფაკულტეტი (1990–1995 წლები).

ალიარება: მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველი სამბისტი (ალიარებული და დასახელებული იქნა სამბოს ეროვნული ფედერაციის მიერ, სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად). შეყვანილი იყო მსოფლიოს სამბოს ნაკრების წევრად (1998).

მწვრთნელები: პირველი პირადი – შოთა და ლავრენტი კაციაშვილები, ოლეგ იაძე (ნაკრების შემადგენლობაში).

დაფასება: ფოტოსურათი გამოფენილია ქართული სპორტის

შპრისები ფალავნის კორპორაციისათვის

მუზეუმში (ქ. თბილისი), პრესის რჩეული – ბიოგრაფია შეტანილია: 1. ქართველი სპორტსმენების ბიოგრაფიული ლექსიკონი, 2. “ვინ ვინაა საქართველოში: ქართული ბიოგრაფიული ცნობარი” (1998–99, გვ. 74), 3. “ქართული სპორტის ოქროს წიგნი” (ავტორი – ელგუჯა ბერიშვილი, გვ. 13).

მიძღვნა: წიგნები – 1. “მარადისობის ჭაბუკი” (ავტორი – ოლეგ იაძე, 120 გვ., გამომცემლობა “ჩორდელი”, ქ. თბილისი, 2000), 2. “დაგვიანებული ოქროს მედალი ჩემპიონისათვის” (ამირან ტალახაძე, 16 გვ., ქ. თბილისი, 2013, გამ-ბა “პრეპრინტი”); ლექსები – 1. “მარადისობის მზეჭაბუკი (ვანო გამხიტავის ხსოვნას)” – (თამარ გაბობქი); 2. “ვანო გამხიტავის” (გიორგი ყაბანაშვილი)...

საერთაშორისო დონის მიღწევები: მსოფლიო ჩემპიონი (ჭაბუკები) და მრავალჯერ პრიზიორი (უფროსებში), მსოფლიო თასის გამარჯვებული და 2-ჯერ პრიზიორი, ევროპის 2-ჯერ ჩემპიონი (ახალგაზრდებსა და უფროსებში) და მრავალჯერ პრიზიორი.

უკვდავება: საქართველოს სამბოს ეროვნულ ფედერაციას ყოველწლიური კალენდარული ღონისძიებების გეგმაში შეტანილი აქვს ვანო გამხიტავის ხსოვნის მემორიალური ტურნირი (იგი შერჩევითი ხასიათისაა, აქამდე ქ. თბილისში ტარდებოდა, 2019 წლიდან იმართება ქ. კასპში); 2. ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ყოველწლიურ მემორიალურ ტურნირს აწყობს ფალავნის მშობლიურ სოფელში.

ხსოვნა სოფლის სახელოვანი შვილისა: 2013 წელს, დაბადებიდან 40 წლისთავთან დაკავ-

შირებით, სამთავისში აიგო ტიპური დია საჭიდაო არენა, რომელსაც მიენიჭა ვანო გამხიტავის სახელი, ასევე, სოფლის ცენტრში დაიდგა ფალავნის ბრინჯაოს ბიუსტი (ავტორი – მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილი).

გამარჯვებები საერთაშორისო არენებზე: – მსოფლიო პირველობები: ჩემპიონი (ჭაბუკებს შორის, 1989, ქ. ვესტორანჟე, აშშ) და 8-ჯერ პრიზიორი (აქედან: 5-ჯერ ვიცე-ჩემპიონი: 1991 – ქ. შამბერი, საფრანგეთი, 1995 – ქ. სოფია, ბულგარეთი, 1996 – ქ. ტოკიო, იაპონია, 1997 – ქ. თბილისი, 1998 – ქ. კალინინგრადი და 3-ჯერ კი მესამეადგილოსანი: 1991 – ჭაბუკები, ქ. შამბერი, საფრანგეთი, 1992 – ქ. კიევი, უკრაინა, 1994 – ქ. ნოვოსადი, იუგოსლავია.

– მსოფლიო თასის გათამაშება: თასის მფლობელი (1999, ქ. ქსტოვო, რუსეთი), 2-ჯერ მთავრადგილოსანი (1994 და 1997) და ამდენჯერვე – მესამეადგილოსანი (ყველა ქ. ქსტოვო, რუსეთი).

ევროპის პირველობები: 2-ჯერ ჩემპიონი ახალგაზრდებსა (1992, ქ. კიევი, უკრაინა) და უფროსებში (1999, ქ. სოფია, ბულგარეთი); ასევე, 4-ჯერ ვიცე-ჩემპიონი, ანუ მე-2 ვერცხლის მედალოსანი – 1993 (ახალგაზრდები, ქ. ტურინი, იტალია), 1994 (ქ. პენეპეჟე, სი, ლატვია), 1995 (ქ. მინსკი, ბელარუსი) და 1996 (ქ. არანჟელოვკა, ბულგარეთი), ხოლო 2-ჯერ პრიზიორი მედალოსანი – 1997 (ქ. ბაქო, აზერბაიჯანი).

ქართული ფალავნობის კვარცხლბეკზე: საქართველოს აბსოლუტური ფალავანი (1994) და 3-ჯერ პრიზიორი, აქედან 1993 წლის ვიცე-ფალავანი, 1995 და 1997 წლებში – მე-3 ადგილების მფლობელი.

კასპის სპორტკომპლექსი.

„აკეხურა“

“კეხურა”, ძალიან ვთხოვ მითხრა ქართული ზღაპრების გარდა რა წავიკითხო, რა ჰქვია იმ ქვეყანას ვისაც ყველაზე კარგი ზღაპრები აქვს, ან ვინ არის ერთი კარგი მეზღაპრე? ამ ზაფხულს უნდა წავიკითხო. მე ვარ მარი გიგაური. (სტილი დაცულია)

მარი, ალბათ ბევრ ზღაპარს კითხულობ, ანდა დედა გიყვება ხოლმე ძილის წინ. ალბათ, გიყვარს თოვლის დედოფლის, საზიზღარი იხვის ჭკუის ისტორია, ამბავი ცერკვის მარცვალზე მძინარე პრინცესას ან ქალთევზას შესახებ. შეიძლება არ იცოდეთ, რომ ვიდრე ჰანს ქრისტიან ანდერსენი ამ და სხვა არაჩვეულებრივი ზღაპრების წერას დაიწყებდა, უამრავ შარში გაეზა.

ჰანსი 1805 წელს დაიბადა ღარიბი მეწაღის ოჯახში, დანიამი, ოდენსეში, კუნძულ ფიუნზე ცხოვრობდა და სამხინად არ უყვარდა სკოლაში სიარული. დედამ ბიჭუნა ებრაულ სკოლაში გადაიყვანა, რადგან იქ მოსწავლეების გაწვევლა და დასჯა აკრძალული იყო, თანაც

მეზღაპრის ბავშვობა

ჰანსს უფრო უადვილებოდა სწავლა. ამბობენ, რომ ჰანს ქრისტიან ანდერსენი მეფური წარმომავლობისა იყო. ბავშვობაში ბიჭუნა უფლისწულ ფრიცთან ერთად თამაშობდა და ძალიან დიდ დროს ატარებდა მასთან. ლეგენდის თანახმად, ჰანსს სამეფო დინასტიასთან ნათესაური კავშირი ჰქონდა. თუმცა, დიდგვაროვანებით ნამდვილად არ ცხოვრობდა.

მამის გარდაცვალების შემდეგ ჰანსმა სკოლას თავი დაანება და უამრავ ადგილას მუშაობდა – თამბაქოს ფაბრიკაში, მქსოველთან, ხოლო შემდეგ მკერავთან, თან მათ ხელობასაც სწავლობდა. ბიჭუნასთვის ერთადერთი გასართობი მისი თოჯინების თეატრი გახდა. ჰანსი სამსახურის შემდეგ საათობით იჯდა და ხისგან თლიდა თოჯინებს, გულმოდგინებით კერავდა მათთვის ტანსაცმელს, ამზადებდა სცენის დეკორაციებს. შემდეგ პატარა პიესებს წერდა და სპექტაკლებს დგამდა მე-

ზობელი ბავშვებისთვის. თანატოლები მას ხშირად დასცინობდნენ ამ გატაცების გამო. ჰანსი კიდევ იჯდა და ოცნებობდა იმ დღეზე, როცა პირველად შედგამდა ფეხს ნამდვილად დიდ თეატრში. ბიჭუნას ძალიან უყვარდა საოპერო სპექტაკლები და გადაწყვიტა, როცა გაიზრდებოდა, მომღერალი გამოსულიყო.

როგორც კი ჰანსი თოთხმეტი წლისა გახდა, მამინვე დაემშვიდობა დედას და დიდი ქალაქისკენ, კოპენჰაგენისკენ გასწია. როცა დედამ ჰკითხა, თუ რა უნდა ეკეთებინა კოპენჰაგენში, ჰანსმა დარწმუნებულმა უპასუხა, რომ ის აუცილებლად გახდებოდა სახელგანთქმული ადამიანი. ბიჭუნა გზას გაუდგა და ქალაქში ჩასვლისთანავე ცნობილ მომღერალ ქალთან მივიდა, და სთხოვა თეატრში მსახიობად აეყვანა. ჰანსი ძალიან დელავდა და ტირილი ვერ შეიკავა. ქალი დაჰპირდა სამუშაოს, თუმცა, სიტყვა არ დასასრული გვ-10.

მეხუთე რჩო
ჩოხბოიყ - ნ'ელოინ'ჯაის . . მეხუთე რჩო. . ელოოციბჷ თჷყენს გჷმონხმჷყოიბჷს. მოხბოძნოიოი რიქოჯჷცჷიში. გჷგჷცჷანოი თჷყენი ნჷმუშეჷოიბი (ნ'წომოჯჷცჷინოი ელოეჷცჷრონოჷლოი ჯეოისი) რჷ გჷცჷცჷანოი ისინი სჷზოგჷჯოიბჷს.

გილოცავთ!

საქართველოს პედაგოგთა და მენეჯერთა თავის-უფალი პროფკავშირის კანკის რაიონული ორგანიზაცია დაზღვევის დღეს ულორავს ზელა კონიშვილს, უსურვებს ჯანმრთელობას და ზედნიერ რხოვრებას საყვარელ ოჯახთან ერთად.



ზელა კონიშვილის ვულორავთ დაზღვევის დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სვავს, ზარაქს და ჩვეული ხალისით რხოვრებას. ნანა მერემაშვილი. რუსუდან ხეჩუაშვილი.

„კახეზას“ ცხელი ზაფხულის ჩიონიკები




მიგიძლიათ, მდგაწმდრთ თქვენი მვილუმის, მვილიმვილუმის ძბიგინალუბი თდფდში.

მუზღაპრის პავშკობა

დასასრული. დასაწყისი იხ. გვ9.

შეასრულა. მოგვიანებით მომდერალმა თქვა, რომ როცა ჰანსი პირველად დაინახა, ჩათვალა, რომ ეს ბიჭუნა შეშლილია. ის ძალიან გამხდარი იყო, გრძელი ხელები, ფეხები და ცხვირი ჰქონდა, თან გულამოსკვნილი ტიროდა. ბიჭუნამ მანც აისრულა თავისი ოცნება და თეატრში მერეხარისხოვან

სავსე. ხელმწიფემ ჰანსი სკოლის დამთავრების შემდეგ სამოგზაუროდ გააგზავნა. ახალგაზრდა ანდერსენი სამშობლოში დაბრუნებისას უკვე ცნობილი მწერალი და დრამატურგი იყო. მის ზღაპრებს უამრავი ბავშვი კითხულობდა, მისი ნაწარმოებები საუკეთესოდ ითვლებოდა, ხოლო მისი პიესების მიხედვით დიდ თეატრებში სპექტაკლებს დგამდნენ. ამასობაში მისი მეგობარი უფლისწული ფრიცი მეფედ აკურთხეს და ის უკვე მეფე ფრედერიკ მეშვიდე გახდა. ამბობენ, რომ ხელმწიფე და ჰანსი მთელი ცხოვრების განმავლობაში მეგობრობდნენ. როცა წლები



როლებს თამაშობდა, მაგრამ მერე ამ სამსახურიდან დაითხოვეს, რადგან გარდატეხის ასაკის გამო ხმა შეეცვალა. არ დაგავიწყდეთ, რომ ჰანსის ბავშვობის მეგობრის, უფლისწული ფრიცის მამა მეფე ფრედერიკ მეექვსე, ყმაწვილ ანდერსენს პირველი პიესის წიგნად გამოცემაში დაეხმარა. ამ წიგნში ჰანსის რამდენიმე ლექსიც შევიდა. ბიჭი თეატრიდან თეატრში დადიოდა და სთხოვდა მისი პიესის მიხედვით სპექტაკლის დადგმას, რაზეც ყველა უარს ეუბნებოდა. მეფე ფრედერიკმა ჰანსი სკოლაში მიიბარა, თუმცა, ბიჭუნა ზარმაცობდა. მართალია მან სკოლა დაამთავრა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე მისი ნაწერები გრამატიკული შეცდომებით იყო



გავიდა და ფრიცი გარდაიცვალა, ჰანს ქრისტიან ანდერსენი ერთადერთი არასამეფო წარმომავლობის ადამიანი იყო, რომელსაც მონარქის კუბოსთან მიიხლოების უფლება მისცეს. ჰანს ქრისტიან ანდერსენმა შეასრულა პირობა, რომელიც ღრმა ბავშვობაში მისცა დედას, ის მართლაც გახდა ცნობილი. რაც მთავარია, ყველა ბავშვი დიდი სიამოვნებით კითხულობს და უსმენს მის დაწერილ ჯადოსნურ ზღაპრებს.



გამოიწერეთ გზებით „ახალი განთიარა“! გზებით ზღერნი მყითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. სტაჟიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოგანილი შაჟბების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. სარედაქციო მასალები და განხილვების შენაარსზე რედაქცია პასუხს არ აბავს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მარეგაშვილი
 რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქანაი სპაპაძის ქ. № 68
 ტელეფონი 22-25-76